

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საია განცხადებას აკეთებს გარდაცვლილ პატიმართან დაკავშირებით

საია შემოთვალისწინებს გამოთქვამს პატიმარ მურმან კალანდიას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. როგორც საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, ზუგდიდის მე-4 საპყრობილის პატიმარი 2011 წლის 31 ოქტომბერს გარდაიცვალა საპყრობილიდან თბილისის ციხის საავადმყოფოში გადაყვანის დროს. გარდაცვალების ზუსტი მიზეზები სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის შედეგად უნდა დადგინდეს. თუმცა, გარდაცვლილის ოჯახის წევრმა ჩვენთან საუბარში გამოთქვა ეჭვი, რომ მ. კალანდიას გარდაცვალების მიზეზი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობაა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საია შემფოთებას გამოთქვამს პატიმარ მურმან კალანდიას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. როგორც საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, ზუგდიდის მე-4 საპრობილის პატიმარი 2011 წლის 31 ოქტომბერს გარდაიცვალა საპრობილიდან თბილისის ციხის საავადმყოფოში გადაყვანის დროს. გარდაცვალების ზუსტი მიზეზები სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის შედეგად უნდა დადგინდეს. თუმცა, გარდაცვლილის ოჯახის წევრმა ჩვენთან საუბარში გამოთქვა ეჭვი, რომ მ. კალანდიას გარდაცვალების მიზეზი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობაა.

სამწუხაროა, რომ პატიმართა გარდაცვალების ფაქტებს კვლავ აქვს ადგილი და თანაც უკანასკნელ პერიოდში გახშირებული პერიოდულობით, რაც ყოველმხრივ გაუმართლებელია და სათანადო რეაგირებას საჭიროებს.

საია იმედოვნებს, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოხდება შესაბამისი რეაგირება და გამოძიება წარიმართება სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად, რათა პასუხი გაეცეს ოჯახისა და საზოგადოების კითხვებს.